## შპს – ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის

## ბრძანება №1/02

24.01.2018 წ.

ქ. თბილისი

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში პროფესიული განათლების მასწავლებლის თანამდებობაზე ვაკანსიის გამოცხადების შესახებ

ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის წესდებისა და "მოდულური პროგრამის განმახორციელებელი პირების/პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევის წესის" საფუძველზე

## ვბრძანებ:

1. ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში გამოცხადდეს ვაკანსია დანართი 1-ში მითითებული სასწავლო კურსების პროფესიული განათლების მასწავლებლის თანამდებობაზე.

- პროფესიული განათლების მასწავლებელი შეიძლება იყოს უმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების IV ან V საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელი ან პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.
- IV საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელ პროფესიული განათლების მასწავლებელს უფლება არ აქვს ასწავლოს V საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

2. შრომითი/მომსახურეობის ხელშეკრულების გასაფორმებლად პირმა უნდა წარმოადგინოს:

- წერილობითი განცხადება;
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- ავტობიოგრაფია (CV);
- ერთი ფოტო სურათი ფორმით 3X4;
- განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.
- მუშაობის სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტი (საჭიროების შემთხვევაში).

3. საბუთების წარმოდგენის ვადა 2018 წლის 24 იანვრიდან 31 იანვრამდე.
4. ბრძანება განთავსდეს დაწესებულების ვებ-გვერდზე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან 1 თვის ვადაში ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კ/მ, №6).
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის
რექტორი

/ს. მაჭარაშვილი/

დანართი 1

**კრიმინალისტის მესამე საფეხურის საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა**

კრიმინალისტიკური ტექნიკა 1 (ფოტოვიდეოტექნიკა) - 1 ვაკანტური ადგილი

**ბუღალტრის მესამე საფეხურის საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა**

ბიზნეს სამართლის საფუძვლები - 1 ვაკანტური ადგილი